სააქციო საზოგადოება
ენერგოკავშირი

Joint stock company
ENERGOKAVSHIRI

№ 15/87 19 12 2022 წ.

ბრძანება

საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ტარიფის ცვლილების შესახებ

ვბრძანებ

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ" სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის №22 დადგენილებით, 2021 წლის 1 ივლისიდან სს „ენერგოკავშირი"-ს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი კუბურ მეტრი ბუნებრივი გაზის ტარიფი განისაზღვრა დღგ-ს ჩათვლით 57.794 თეთრით. ქვეყანაში არსებული, მძიმე სოციალური ფონიდან და პანდემიიდან გამომდინარე, მოგების მინიმალიზაციის ხარჯზე, სს „ენერგოკავშირი"-ს მმართველმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ტარიფის დაწევის 55.5 თეთრამდე და 2021 წლის 29 ივნისის №14/10 ბრძანებით, კუბურ მეტრი ბუნებრივი გაზის ღირებულება განისაზღვრა 55.5 თეთრით, იმ პირობით, რომ ტარიფი გაიზრდებოდა სემეკის მიერ დადგენილ ოდენობამდე დოლარის კურსის და ფასთა სხვაობის მიხედვით.

გამომდინარე იქიდან, რომ მომწოდებელმა კომპანიამ გააძვირა მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის ღირებულება და ამავე დროს „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ" სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 13 დეკემბრის №69 დადგენილებით სს „ენერგოკავშირი"-ს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი კუბურ მეტრი ბუნებრივი გაზის ტარიფი განისაზღვრა დღგს გარეშე 48.976 თეთრით, დღგს ჩათვლით 57.792 თეთრით, 2023 წლის 1 იანვრიდან, სს „ენერგოკავშირი"-ს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი კუბურ მეტრი ბუნებრივი გაზის ტარიფი დადგინდეს დღგ-ს ჩათვლით 57. 792 თეთრი.

დაევალოს საზოგადოების თანამშრომელს, მედეა კაზარაშვილს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ბილინგის სისტემაში.

საფუძველი: სს „ენერგოკავშირი"-ს 2021 წლის 29 ივნისის №14/10 ბრძანება და „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ" სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 13 დეკემბრის №69 დადგენილება.

სს „ენერგოკავშირი"-ს
გენერალური დირექტორი /ვაჟა მაისურაძე/

ქ. თბილისი, მუხიანის I მ/რ, კორპუსი N13 (ი. ნონეშვილის ქ.) ს.ი. 0172,
Building N 13, I mikro/region (I. Noneshvil str.) Mukhiani, Tbilisi, Georgia.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №69

2022 წლის 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილების (სსმ III, №2, 09.01.2006წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) მე-4 მუხლში მოცემული ცხრილის 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"

29	სს „ენერგოკავშირი“:			
	ა) 2023 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე	36.979	10.414	48.976
	ბ) 2026 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე	38.633	9.214	49.185

".

მუხლი 2

სს „ენერგოკავშირის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფში ფასნამატის ოდენობა შეადგენს 1.000 თეთრი/კუბური მეტრი.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	გოჩა შონია
კომისიის წევრი	მაია მელიქიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე

აღნიშნული ტარიფი მოქმედია დღგ-ს გარეშე - 48.976 თ.
დღგ-ს ჩათვლით არის 57.792 თეთრი